ამბროლაურის მოამბე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

№8-9 (9891-2) ◆ აგვისტო-სექტემბერი, 2022 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

კოორდინირებული მუშაობით პრობლემები დაძლევადია

შეიძლება ითქვას, რომ სათაურად გამოტანილი ეს წინადადება ლაიტმოტივად გასდევდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის **პაპუნა მარგველიძის** გამოსვლას სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ მორიგ გაფართოებულ თათბირზე, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ამბროლაურის, ონის, ცაგერის და ლენტეხის მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეები, მერები და სამინისტროების რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

სახელმწიფო რწმუნებულმა შეხვედრის მონაწილეებთან, ახლად დანიშნული რწმუნებულის პირველი მოადგილის **ქრისტინე კობახიძის** წარდგენის შემდეგ, თათბირი გააგრძელა იმ უმნიშვნელოვანესი სიახლეების გაცნობით, რომლებითაც აღინიშნა წინა თათბირიდან თათბირამდე განვლილი პერიოდი. განსაკუთრებულად გაესვა ხაზი ქ. ამბროლაურში დიალიზის სერვისის ამოქმედების მნიშვნელობას, რითაც პაციენტებს მხარის მასშტაბით საშუალება ეძლევათ შესაბამისი მომსახურება მიიღონ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ამბროლაურის სამედიცინო დაწესებულებაში. ითქვა ისიც, რომ სამედიცინო სფეროს მიმართულებით რეგიონში კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე იგეგმება.

სახელმწიფო რწმუნებულმა მოისმინა სამხარეო სამსახურების უფროსების მხრიდან ინფორმაციები სფეროების მიხედვით აქტუალურ საკითხებზე. მათთან ერთად განიხილა მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა და შეფასდა არსებული მდგომარეობა.

შეხვედრაზე, რომელმაც ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა, დაისახა კონკრეტული გეგმები, რომელთა განხორციელებაში განსაკუთრებულად გამოიკვეთა როგორც სამხარეო ადმინისტრაციის ისე ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომელთა როლი და პასუხისმგებლობა მხარეში მიმდინარე პროცესებში ჩართულობის კუთხით. მკაცრი დავალებაც გაიცა: სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალური და რეგიონული სამსახურების კოორდინირებული მუშაობით არსებული პრობლემები დაძლევადია, რაც ყველამ ერთად უნდა შევძლოთ.

აშშ-ს საელჩომ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის მასშტაბით მდგრადობის შესაძლებლობების გაძლიერების პროცესი დაიწყო. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, რაჭაში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოში ამერიკის სრულუფლებიანი ელჩი **კელი დეგნანი** რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სამაგიდო სწავლებას დაესწრო, რომელიც ითვალისწინებს ჯორჯიის შტატის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გამოცდილების გაზიარებას.

ელჩს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** სამხარეო ადმინისტრაციაში უმასპინძლა და გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეები გააცნო. ასევე ისაუბრა დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებული რაჭის მდგრადი განვითარების პროგრამის შესახებ. სამუშაო შეხვედრის ბოლოს სახელმწიფო რწმუნებულმა პაპუნა მარგველიძემ აშშ-ს ელჩს საქართველოში კელი დეგნანს მადლობა გადაუხადა რეგიონში ვიზიტისთვის და გამოთქვა მზადყოფნა სამომავლო თანამშრომლობისათვის. შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

შეხვედრას ამერიკულ დელეგაციასთან ერთად, სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინე კობახიძე**, მოადგილე **ლაშა ჭიჭინაძე**, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

შეხვედრა მერის წარმომადგენლებთან

რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერ **ზვიად მხეიძესთან** ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგელებს და დეპუტატებს შეხვდა.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ქვეყანაში მიმდინარე მასშტაბური სახელმწიფო პროგრამის **„სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირების დასაქმება“** მნიშვნელობას და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას. ითქვა, რომ ამ კუთხით მუნიციპალიტეტში სერიოზული სამუშაოებია ჩატარებული და შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სამიზნე ჯგუფებისთვის შერჩეულ-შექმნილია ისეთი საზოგადოებრივი სამუშაოები, რომელთა შესრულებაც ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირისათვის შესაძლებელია.

მერის წარმომადგენლებმა ასევე წარმოადგინეს ინფორმაციები ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ, განიხილეს შესრულებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, იმსჯელეს სოფლებში ამ პერიოდისთვის გამოკვეთილ საჭიროებებსა და მათი დროულად მოგვარების გზებზე. მათ შორის გამოკვეთილად გამახვილდა ყურადღება ზაფხულის სეზონზე სასმელი წყლის მარაგის მკვეთრ კლებასა და სიტუაციის გასაუმჯობესებლად უკვე დაგეგმილი დამატებითი სამუშაოების განხორციელებაზე.

წარმომადგენლებმა შეხვედრაზე დავალებაც მიიღეს: მოსახლეობის მიმართვებზე სწრაფი რეაგირება და მათთვის მერიაში მოქმედ პროგრამებზე დეტალური ინფორმაციის სისტემატიურად მოწოდება.

გამოცდილებით დადასტურებულია, რომ პრობლემური საკითხების მოგვარების პროცესში ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის ჩართულობა უფრო ეფექტიანს ხდის მუშაობას, ხელს უწყობს მოსახლეობის მხრიდან გამოკვეთილი საჭიროებების დროულ მოგვარებას. შესაბამისად მსგავსი სახის სამუშაო შეხვედრები ეტაპობრივად გაგრძელდება.

ამბროლაურში დიალიზის სერვისი ამოქმედდა

ამბროლაური მეორე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია მესტიის შემდეგ, სადაც ჰემოდიალიზზე დამოკიდებული პაციენტებისთვის შესაბამისი სერვისი ადგილზევე გახდა ხელმისაწვდომი.

მანამდე დიალიზდამოკიდებულ მოქალაქეებს სიცოცხლისთვის აუცილებელი სერვისის მისაღებად სხვა რეგიონში, საცხოვრებელი ადგილიდან ათობით კილომეტრის დაშორებით უწევდათ ჩასვლა, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, დამატებით დროსა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ხშირად პაციენტებს, დიალიზის თერაპიის ჩასატარებლად, საკუთარი სახლ-კარის დატოვებაც უწევდათ.

რეგიონებში დიალიზის სერვისის ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის მინისტრმა გაზაფხულზე დააანონსა და დღეს პაციენტებს საშუალება ეძლევათ შესაბამისი მომსახურება მიიღონ თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებულ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ამბროლაურის სამედიცინო დაწესებულებაში. დიალიზის კაბინეტის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომისა და ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო ჰოლდინგის, სამხრეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა.

დიალეზის კაბინეტის გახსნა საზოგადოებამ დიდ საქმედ შეაფასა და სამადლობელ-საქებარი სიტყვებიც არ დაიშურა იმათი მისამართით, ვინც თავისი წვლილი შეიტანა პაციენტთათვის მართლაც ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეში.

(თემის გაგრძელება იხილეთ მე-3 გვერდზე)

ქრონიკა

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) „სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის №308 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულებით (№K–49, 04.08.2022წ.) რეგიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ დაინიშნა **ქრისტინე კობახიძე**.

შტრიხები პორტრეტისთვის

ქრისტინე კობახიძე დაიბადა 1983 წელს, უმაღლესი განათლებით. პროფესიით ეკონომისტია, მაგრამ სწავლობდა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტშიც. აქვს კერძო სექტორში მენეჯერის პოზიციაზე 8 წლიანი მუშაობისა და ქვეყნის მასშტაბით კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელმძღვანელობის გამოცდილება. ბოლო წლები იკავებდა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელის პოზიციას. აგრეთვე იყო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს წევრი.

არის ქალთა ორგანიზაციის გამგეობის წევრი – რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონული საბჭოს ხელმძღვანელი.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ინფორმაცია

ამბროლაურის მერიაში გამართულ ტრადიციულ თათბირზე ისაუბრეს სხვადასხვა სფეროში არსებულ მდგომარეობაზე და დეტალურად განიხილეს ის საჭიროებები, რომლებიც მოსახლეობის მიერ ფიქსირდება და ამ დროისთვის არსებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სამუშაო შეხვედრაზე, მერიის სტრუქტურული სამსახურების ხელმძღვანელებმა აგრეთვე წარმოადგინეს დაგეგმილი აქტივობები.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** იმ კომპანიების წარმომადგენლებსაც შეხვდა, რომლებიც ამბროლაურში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებენ. მერმა კომპანიების წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაციები მოისმინა პროექტების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, სოფლების მიხედვით განიხილა მიმდინარე სამუშაოები, გაეცნო ამ ეტაპისთვის არსებულ ვითარებას. ყურადღება გამახვილდა ხარისხის კონტროლსა და ვადების მკაცრად დაცვაზე.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ახალი – 2022–2023 სასწავლო წელი დაიწყო, რომელსაც რესურსცენტრის ხელმძღვანელის კახა რეხვიაშვილის განმარტებით წინ საჯარო სკოლებში სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა. კერძოდ ლიხეთის, ხვანჭკარის, ჟოშხისა და ქალაქის მეორე სკოლებში ჩატარდა მცირე, მაგრამ აუცილებელი სარემონტო თუ კოსმეტიკური სამუშაოები. მოსწავლეებმა მიიღეს სასწავლო სახელმძღვანელოები. მცირე შეფერხება იყო მეათე კლასელებთან, ახალი გრიფის მინიჭების მიზეზით, სახელმძღვანელოების გადაცემაზე. 89 პირველკლასელს გადაეცათ ბუკები. სასწავლო წელი დაიწყო 1025 მოსწავლემ და ყველაფერია გაკეთებული იმისათვის, რომ ტრადიციულად მშვიდ გარემოში წარმატებულად წარიმართოს სასწავლო პროცესები

ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებსა და ჩვენებურ პირველკურსელ სტუდენტებს მიულოცეს სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა.

* * *

სადმელში შიდა სასოფლო გზების 3 კილომეტრიან მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარე პროცესებს ადგილზე, თანმხლებ პირებთან ერთად, გაეცნო მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** წელს შესრულდება 900 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, პროექტი გარდამავალია და მისი სრული სახელშეკრულებო ღირებულებაა 3264000 ლარი.



ინფორმაცია

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-19 რიგგარეშე სხდომა, რომელმაც ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს წევრის **ქრისტინე კობახიძის** უფლება მოსილების ვადამდე შეწყვეტისა და მის ადგილმონაცვლედ **ხათუნა ბეშიძის** საკრებულოს წევრად უფლება მოსილების საკითხი.

სხდომამ, საქართველოს მთავრობის 2022 წლის №1398 განკარგულების საფუძველზე, ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №24 დადგენილებაში, რაც განპირობებულია იმით, რომ საქართველოს მთავრობამ ზემოთ აღნიშნული განკარგულებით ცვლილება შეიტანა 2022 წლის №75 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ რითაც ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა 2050000 ლარით, რომელმაც ასახვა ჰპოვა ადგილობრივ ბიუჯეტში და პროგრამული კოდებით დაკონკრეტებული წარედგინა სხდომას.

თანხა ძირითადად მიმართულია ისეთ საჭიროებებზე როგორიცაა: წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სისტემის მოვლა-პატრონობა, გზების კაპიტალური შეკეთება, მოვლა-შენახვა, მიმდინარე შეკეთება, გარე განათება, სტიქიის პრევენცია და სხვა.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20 რიგგარეშე სხდომამ ცვლილებები შეიტანა საკრებულოს 2021 წლის №19, №99, №80, 2018 წლის №24 და №25 განკარგულებებში, 2021 წლის №18 და №24 დადგენილებებში.

სხდომამ თანხმობა მისცა მუნიციპალიტეტის მერს ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალის, „თბილისის პროექტთა ბიუროს“ შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული №2 სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულების ერთი წლის ვადით გახანგრძლივებაზე.

სხდომაზე საკრებულოს წევრები გაეცვნენ იმ გრაფიკს,რომლის მიხედვითაც ანგარიშით უნდა წარსდგნენ ამომრჩეველთა წინაშე სექტემბერ-ოქტომბერში. შესაბამისად გაზეთის ფურცლებზე დაბრუნდება რუბრიკა **„დეპუტატი და ამომრჩეველი“**.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში ცვლილებები შედის მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე შემოსული განცხადებების შესაბამისად. კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 განკარგულებაში კორექტირება განპირობებულია იმით, რომ რამოდენიმე ჩვენი მაცხოვრებელი მკურნალობის შემდგომი სწორი კურსის განსაზღვრისათვის საჭიროებს აორტოგრაფიულ კვლევას. ამიტომ ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალს (მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი) დაემატა „ზ“ ქვეპუნქტი: **აორტოგრაფია**.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 21-ე სხდომამ მოისმინა და დამაკმაყოფილებლად შეაფასა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებასა და 2022 წლის 01 იანვრიდან 01 აგვისტომდე სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მიმდინარეობასთან დაკავშირებით მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები.

აღინიშნა, რომ ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობები შესრულებულია 76 %-ით, რაც ძირითადად განპირობებულია გაზაფხულისა და ივნისის თვეების უამინდობით. არადა შემოსულობების ზრდის კუთხით შეინიშნება კარგი ტენდენცია.

გადასახადების დავალება შესრულებულია 95%-ით და ხარჯვა მიმდინარეობს კანონის ფარგლებში.

სოციალური დაცვის პროგრამით ბენეფიტი გადანაწილებულია 16 მიზნობრივ ჯგუფზე და უკვე ისარგებლა 406 ბენეფიციარმა. გაცემულია 19723 ლარი. ხოლო სამედიცინო მომსახურეობის პროგრამის 4 ქვეპროგრამით მოსარგებლე 321 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება 182789 ლარი.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 22-ე რიგგარეშე სხდომამ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2015 წლის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. ამბროლაურში, მერაბ კოსტავასა (ლიბერთი ბანკის ამბროლაურის ფილიალის და ყოფილი კინოთეატრის შენობების მიმდებარედ) და დავით აღმაშენებლის ქუჩებზე (კულტურის ცენტრის მიმდებარედ) მდებარე რეაბილიტირებული სკვერებისათვის ბაჩანა ბრეგვაძისა და დავით (დათუნიკა) სხირტლაძის სახელების მინიჭების საკითხის, მათი გარდაცვალებიდან 20-წლიანი ვადის გასვლამდე, განხილვაზე გამონაკლისის დაშვება.

ქალაქ ამბროლაურს მალე ე.წ „კრიხულას სანაპიროს“ სახით, როგორც ადგილობრივი ისე ტურისტებისათვის, კიდევ ერთი საინტერესო და მიმზიდველი სივრცე შეემატება. ვ. მახალდიანის ქუჩის გასწვრივ მთელ ტერიტორიაზე იქმნება რეკრეაციული ზონა. ე.ი კეთდება ბულვარი გასართობი სივრცეებითა და კაფებარებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს ტურიზმის განვითარებას, ახალი ინვესტიციების მოზიდვასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

პროექტს, რომლის ჯამური ღირებულება 4553234 ლარს შეადგენს „ინტეგრირებული განვითარებული რეგიონების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებით ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, პირველ მოადგილესთან **ქრისტინე კობახიძესთან**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან **ზვიად მხეიძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარესთან **ასლან საგანელიძესთან** ერთად გაეცნო.

ამბროლაურში დიალიზის კაბინეტი გაიხსნა

დასასრული

– კარგად მახსოვს ის პირველი ბენეფიციარი, რომელმაც წლების წინ მომართა გამგეობას დახმარებისათვის. მაშინ ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობის გათვალისწინებით ამოგვემოქმედებინა სოციალური დაცვის პროგრამაში შესაბამისი ქვეპროგრამა.

სამწუხაროდ დიალიზზე დამოკიდებულთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს და მერიაც იმ 20 მოსარგებლეს, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი იმ ქალაქებში, სადაც სამედიცინო მომსახურებას იღებენ სახელმწიფო პროგრამით „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, დღემდე ეხიდებოდა იმით, რომ უხდიდა ბინის გადასახადს 250 ლარის ოდენობით.

მერაბ გეწაძე,
მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი

განვიცდიდით, რომ ეს იყი ის მცირე კომპენსაცია რის გაკეთებაც შეგვეძლო. ამიტომ როგორც სამხარეო ისე ადგილობრივი ხელისუფლება პარალელურად ყველა დონეზე იბრძოდა იმისათვის, რომ რეგიონში ამოქმედებულიყო დიალიზის კაბინეტი.

მრავალწლიანი მცდელობის შედეგი სახეზეა. კაბინეტი ამოქმედდა, სადაც უკვე დარეგისტრირდა 14 ბენეფიციარი და განცხადებების მიღება გრძელდება. აქვე დავძენ იმასაც, რომ რადგან აღნიშნულ დაავადებას პროცედურის შემდგომაც ახლავს სირთულეები, გვერდითი მოვლენები და ბენეფიციარებს აქვთ სხვა საჭიროებებიც, მერია არ წყვეტს ქვეპროგრამას, არამედ აგრძელებს კორექტირებით.

გულახდილი, რწფელი ვარ. ვფიქრობ, სხვების აზრსაც გამოვხატავ: კაბინეტის ამოქმედებამ ჩვენც დიდი შვება მოგვცა, შვება იმისა, რომ დიალიზის კომპონენტით მოსარგებლე ადამიანებს გავუუმჯობესეთ მომსახურების პირობები.

გამოჯანმრთელებას ვუსურვებ მათ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სახელით კი დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, დაწყებულს ხელისუფლების, პროფილური სამსახურების ხელმძღვანელი პირებიდან რიგითამდე, ვინც ეს კეთილშობილური საქმე რეალობად აქცია.

* * *

აკაკი ჩიხლაძე,
ონი მუნიციპალიტეტი, სოფელი ღარი

ჩემი დაავადების მქონე ადამიანს აქვს თუ არა სიტყვის – ბედნიერება ხმარება, არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ამბროლაურში დიალიზის კაბინეტის გახსნა ნამდვილად ბედნიერებაა.

არ მჯერა, რომ თბილისში აღარ მომიწევს კვირაში სამჯერ მიმოსვლა. არავის ვუსურვებ ამ ტანჯვის გავლას. როგორადაც არ უნდა დაგეხმაროს ვინმე, ფინანსებიც გქონდეს, დამერწმუნეთ, მაინც გაუსაძლისია. რამდენჯერ მიფიქრია, მორჩა, აღარ წავალ, რაც იქნება იყოს მეთქი, მაგრამ იმდენად დიდია სიცოცხლის სურვილი, რომ მაინც მიდიხარ.

ახლა ნამდვილად შვებაა, არა მარტო ჩემთვის არამედ ოჯახის წევრებისათვისაც და რა თქმა უნდა, ჩემნაირი ავადმყოფებისთვისაც.ექიმებიც ნაცნობები არიან, პროფესიონალები, ყველას ყურადღებას ვგრძნობთ.

ღმერთმა დალოცოს ყველა, ვინც ამ საქმეში თავისი წვლილი ჩადო.

* * *

– ისეთი პატარა კლინიკისათვის, როგორიც ამბროლაურის საავადმყოფოა საკმაოდ ძვირად ღირებული ამ სერვისის დამატება სერიოზულ სირთულეებთან დაკავშირებული რომ იქნებოდა ვიცოდით, მაგრამ იმდენად დიდი იყო დიალიზის კომპონენტით მოსარგებლეებისადმი ჩვენი თანადგომის სურვილი, რომ უყოყმანოდ ვიტვირთეთ.

ნამდვილად შრომატევადი აღმოჩნდა ეს პროცესი მთელი კოლექტივისათვის, ხშირად ნევრებთანაც დაკავშირებული, მაგრამ დღეს ამ ადამიანების კმაყოფილ

ეკა მურუსიძე,
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის „კლინიკური და აღმასრულებელი მენეჯერი

სახეებს რომ ვხედავთ, ვამბობთ: ყველაფერი ეს ამად ღირდა.

მათ სამსახურშია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი დიალიზის კაბინეტი 8 უახლესი აპარატურით (აქედან 2 რეზერვია), გამოცდილი, პოფესიონალი სამედიცინო კადრებით (4 ბრიგადა ცვლის ერთმანეთს), საკმარისზე მეტი მედიკამენტით, იზოლირებული შესასვლელით...

აქვე ერთი შეხედვით თითქოს წვრილმან, მაგრამ მნიშვნელოვან ფაქტს მინდა გავუსვა ხაზი. როცა ბენეფიცირებს შევეხმიანე და ადგილზე მომსახურეობის მისაღებად მოვიწვიე, მათში შიში ამოვიკითხე. არ გამკვირვებია, რადგან ამ ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას აფინანსებს სახელმწიფო და ისინი კომფორტს არიან მიჩვეული. თან წლების მანძილზე როგორც ერთმანეთთან ისე სამედიცინო პერსონალთან ახლობლური, ოჯახური ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ. და როცა ნაცნობი სახეები იხილეს ისე გაუხარდათ რომ, მათი ემოციები ჩვენც გადმოგვედო.

დიახ, ჩვენც, რადგან მათდამი უკვე სერიოზული პასუხისმგებლობა გვაკისრია. თანდათან ლაგდება ყველაფერი, ჩვენც ვსწავლობთ, მოსასვენებელ ოთახში სულ მალე ტელევიზორიც ექნებათ, შერჩეულია ექთნების კანდიდატურები და მიმდინარეობს მათი გადამზადება... ვფიქრობ, ამ ეტაპზე ადგილობრივი ექიმების გადამზადება ვერ მოხერხდება, თუმცა მოწვეულთ ექნებათ ყოველგვარი ხელშეწყობა, როგორც ახლა, მერია იხდის საცხოვრებლის საფასურს.

დაბოლოს ხაზგასმით მინდა ავღნიშნო და მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ, იგივე გაზეთის მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ რეგიონში დიალიზის კაბინეტის გახსნა იყო სახელმწიფოს დიდი ნება. ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში ერთად მოქმედებდნენ ჯანდაცვის სამინისტრო, სამედიცინო ჰოლდინგი, მაჟორიტარი დეპუტატი, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობა. ფაქტიურად მთელი ამ ხნის მანძილზე კონსულტაციებითა თუ ფიზიკური შრომით გვერდიდან არ მოგვშორებიან სამინისტროსა და ჰოლდინგის წარმომადგენლები.

შორს ვარ პირფერობისაგან. ხომ ეკუთვნით მათ მადლობა? დიახ, ეკუთვნით. ამიტომ რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მოსახლეობის სახელით დიდი მადლობა მათ და ავანსად იმ თანადგომისთვისაც, რასაც მოველით მათგან, რადგან ჩვენთვის მაინც სიახლეა და პროფესიონალური მხარდაჭერა იმედდთან ერთად დიდი სტიმულიც იქნება.

***რედაქციისაგან:** დიალიზის კაბინეტის გახსნას საზოგადოების მხრიდან მაღალი შეფასება მიეცა. ბუნებრივია, ჩვენც დავინტერესდით. მეგზურობა ქალბატონმა ეკამ გაგვიწია. ვიხილეთ მართლაც უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიით აღჭურვილი კაბინეტი დამხმარე სათავსოებით და მშვიდ, უსაფრთხო გარემოში მიმდინარე ხანგრძლივი პროცესი, მორიგე ბრიგადა დიალიზის კომპონენტით მოსარგებლე სამ ბენეფიციარს დასტრიალებდა თავს. კარლო ჯანელიძეს (სადმელი), თამაზ სხირტლაძეს (ხიმში) და დემნა გუგეშაშვილს (ონი) მოკლე კითხვა დავუსვით: კმაყოფილნი ხართ? პასუხი, ხმა რომც არ ამოეღოთ, მარტო მათი სახის გამომეტყველებით მივიღეთ.*

დიახ, მადლობის სათქმელად სიტყვები არ გვყოფნის. ჩვენ ხელისუფლებისაგან ადამიანების სიცოცხლეზე ზრუნვის მაგალითი ვართ.

ა ქ ც ი ა

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ქალთა ორგანიზაციისა და საჩხერის სამედიცინო ცენტრის ერთობლივი ორგანიზებით ამბროლაურის საავადმყოფოში, სამედიცინო აქცია გაიმართა.

მოწვეულმა ექიმებმა (აუდიოლოგი და ოტორინოლარინგოლოგი) პაციენტებს სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს, რომელიც მოიცავდა უფასო კონსულტაციებსა და საჭირო რადიოლოგიურ კვლევებს.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა სისხლის უანგარო დონაციის აქცია, რომელშიც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ნიკოლოზ რაჭველიც ჩაერთო.

გაღებულ სისხლს პაციენტების სიცოცხლის გადასარჩენად, საჭიროებისამებრ, გამოიყენებს საჩხერის სამედიცინო ცენტრი.

სამედიცინო აქციის მიმდინარეობას რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **ქრისტინა კობახიძე**, საქართველოს პარლამენტის წევრი **მარიამ ლაშხი**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** და მერის მოადგილე **მამუკა ხიმშიაშვილი** გაეცნენ.

მეზობელ-ო ქართალო, სიცოცხლე-ც ხარ თავალო!

რაჭასა და ზემო იმერეთს, კერძოდ, საჩხერესა და ჭიათურას შორის მჭიდრო სამეზობლო-სამოყვრო ურთიერთობა ოდითგან ყოფილა. სანალიკის მთაზე საურთიერთობოდ სახარურმო გზაც ყოფილა. ბრებისა და ჯრუჭის მონასტრები ერთგვარი შესასვენებელი თავშესაფარი ადგილი ყოფილა მგზავრებისათვის. უფროსი ადამიანების გადმოცემით, ზამთრის დიდთოვლობას ბევრი მგზავრი მსხვერპლებია ამ გზაზე სიარულს. რაჭის ქედის ორივე ფერდობებს შორის შეფენილ სოფლებს იმდენად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ, რომ კუთხეში ან დედამთილია იქაური, ან კიდევ რძალი, რადგან რაჭველი დინჯი მამაკაცები სასურველ სასიძოებად ითვლებოდნენ, იმერელი ფიცხი ქალები კი კარგ მეოჯახეებად. ხუმრობა იქით იყოს: სამოყვრო და კარგი სამეზობლო ურთიერთობა ძველთაგან მოგვდგამს, ახლა კი ახალმა გზამ უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთს, მანძილი საგრძნობლად შემოკლდა, ექსტრემი და სანახობა კი ძალიან დიდია.

ამ ცოტა ხნის წინ ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ვისარგებლე ამბროლაურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების საავადმყოფოებს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობით და აქ პაციენტთა გასასინჯად მობრძანებულ ექიმებს ვეწვიე გამოკვლევის მიზნით. მათ კი საჩხერის საავადმყოფოში მიმიწვიეს შემდგომი გამოკვლევისათვის და სამკურნალოდ. ბევრი ფიქრისა და ორჭოფობის შემდეგ გავბედე წასვლა და შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: რა საავადმყოფო, რა აღჭურვილობა, რა მომსახურეობა და კიდევ რა და რა. და თან რა სტუმარ-მასპინძლობა. თან გადამყვნენ ექიმებიც, ექთნებიცა და პაციენტებიც. მოკლედ, წამლებზე უფრო მათთან ურთიერთობამ და არაჩვეულებრივმა გარემომ ამავსო დადებითი ენერგეტიკით და დაიმედებული ვბრუნდებოდი ისევ ახალი გზით უკან, თან ვფიქრობდი: რა იქნებოდა, ასეთივე საავადმყოფო ჩვენთანაც რომ იყოს, განა ჩვენი ექიმები ნაკლებად გაართმევდნენ თავს?! რა იქნება სოფლებიდან რაიონის ცენტრამდე ძლივძლიობით ჩასულ ავადმყოფს სხვაგან წასვლა არ ესაჭიროებოდეს. მე მქონდა საშუალება და მოვახერხე წასვლა, მაგრამ მათ რა ქნან, ვისთვისაც რაიონის ცენტრამდე ჩასვლაც პრობლემაა?!

დიდი მადლობა ყველას ამ სამეგობრო ხიდის აღდგენა-გადებისათვის, მართალი ნათქვამია: ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა... სასიმოვნოა ძველი ურთიერთობის განახლება. დიდი მადლობა საჩხერის საავადმყოფოს პერსონალს, დიდი მადლობა საჩხერლებს. „კაათ“ მეყოლეთ მეზობლებო, მართლაც სინათლე ხართ თვალის. ცხოვრება ხომ მხოლოდ ლამაზი ურთიერთობები და მოგონებებია!

საჩხერლებთან გატარებული დღეები ლამაზ მოგონებად დარჩება ჩემს ცხოვრებაში.

ეკა ჭიჭინაძე

„გეო ფესტი“

ქ. ამბროლაური ორი დღე მასპინძლობდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ადგილობრივი სამზარეულოსა და გასტრო-ტურიზმის განვითარების მიზნით გამართულ „გეო ფესტს“. ფესტივალის სტუმრებმა დააგემოვნეს რაჭული და ლეჩხუმური კერძები, ადგილობრივი ღვინო. გაეცვნენ მათი დამზადების ტექნოლოგიებს, სამეწარმეო ბაზარს. მოზარდებთან ერთად ისიამოვნეს მუსიკალური და გასართობი სივრცეებით.

ღონისძიებას სამხარეო ადმინისტრაციის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები მოადგილეებთან, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ.

ფესტივალის მონაწილეების მოძიებასა და მომზადებაში ჩართულები იყვნენ: სოფლის განვითარების სააგენტო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია და გასტრონომიული ასოციაციები.

კონსულტაციის დღე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმასთან დაკავშირებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა – **„კონსულტაციის დღე შენს მუნიციპალიტეტში“**, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ლაშა ჭიჭინაძე**, მერის მოადგილე **მამუკა ხიმშიაშვილი**, მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები და საკითხით დაინტერესებული მოქალაქეები.

აღნიშნული შეხვედრა ითვალისწინებდა საზოგადოებისთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების მხრიდან, რეფორმით გათვალისწინებული და განხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას, ადგილზე სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას, ვებპორტალზე: SLR.napr.gov.ge რეგისტრაციასა და ინფორმაციის მოპოვებაში დახმარებას.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს სრულად აზომავს, დაარეგისტრირებს და მონაცემთა ერთიან ბაზას შექმნის.

სისტემური რეგისტრაციის რეფორმის დასრულების თარიღად გამოცხადებულია 2025 წლის პირველი იანვარი.

SOS ფრთხილად ხანძართან, საშიშია

მიმდინარე წლის ზაფხული, და გამორჩეულად აგვისტოს თვე, უჩვეულოდ ცხელი აღმოჩნდა ჩვენი მუნიციპალიტეტისთვისაც. ჰაერის ტემპერატურის მატებას და უნალექობას სამწუხაროდ თან ერთვის კუთხისათვის უჩვეულო ქარიანობაც, რაც ზრდის ხანძრის გაჩენის საფრთხეს.

ადრე გაზაფხულიდან დაწყებული შესაბამისი სამსახურების მიერ მოსახლეობის არაერთგზის გაფრთხილებისა, რომ ვიყოთ ფრთხილად,მაინც ვერ გადავურჩით ხანძარს. კერძოდ სოფელ ძირაგეულში წიწვოვანი ტყის მიმდებარედ, რამოდენიმე კერაზე ,გაჩენილი ხანძრით დაახლოებით 8 ჰექტარზე დაიწვა ბალახი, ბუჩქები, ეკალ-ბარდი და მცირე ზომის ხეები. საბედნიეროდ. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, ხანძარი სწრაფად იქნა ლიკვიდირებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამართველოს მეხანძრე მაშველების მიერ, რომლებსაც სამართლიანად მოიხსენიებს საზოგადოება გმირებად.

წოდება მეხანძრე-მაშველი მართლაც რომ გმირულ ქმედებებთან ასოცირდება. ჩვენებურთა არაერთი რისკზე წასული მაგალითების თვითმხილველია რეგიონის მოსახლეობა. ასე იყო ამჯერადაც და დამსახურებულად დაიმსახურეს კიდეც ადგილზე ოპერატიულად მისული როგორც სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებისაგან ისე ძირაგეულელთა გულწრფელად გადახდილი მადლობა.

სინოპტიკოსები სექტემბრის პირველი დღეების ნალექის მიუხედავად, მაღალი ტემპერატურის შენარჩუნებას კვლავ ვარაუდობენ, გამომშრალი ნიადაგი რჩება ხანძრის გაჩენის ხელშემწყობ პირობად. ვთხოვთ მოსახლეობას, მუნიციპალიტეტის სტუმრებს, განსაკუთრებულად ახალგაზრდობას – გამოიჩინეთ ერთგულება გარემოსადმი. დაიცავით ხანძარსაწინააღმდეგო წესები.

აღნიშნული ხანძრის გამომწვევი მიზეზები დგინდება.

ლვაწლმოსილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე



ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს დამსახურებულ მექანიზატორს, ღირსების ორდენის კავალერს, ამბროლაურის საპატიო მოქალაქეს და ჩვენს უახლოეს მეგობარს ბატონ **ირაკლი დვალს**, წელს დაბადებიდან 95 წელი უსრულდება. მუდამ ენერგიული, თავის სპეციალობის კარგი მცოდნე, აქტიური პიროვნება, მისი ასაკის მიუხედავად, დღესაც ჩვეული ენთუზიაზმით განაგრძობს საქმიანობას. დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ ზედა შავრაში. მამა ადრე გარდაეცვალა და დედასთან ერთად, ომის მძიმე წლებში, სწავლასთან ერთად უხდებოდა დიდი ფიზიკური შრომა, სწორედ აქედან ჩაენერგა მას, შრომის დიდი სიყვარული, 1944 წელს შევიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც 194 9 წელს დაამთავრა და აქედან დაიწყო მისი შრომითი და სამეცნიერო საქმიანობა. მუშაობდა თელეთისა და თიანეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მთავარი ინჟინერის თანამდებობაზე, შემდეგ საპატიო თანამდებობები ეკავა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ და კონტროლის რესპუბლიკურ კომიტეტებში, ამ პერიოდში მან დაუსწრებლად დაამთავრა ასპირანტურა. 1971 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და სამეცნიერო საქმიანობა განაგრძო სამთო მანქანების, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურის საკავშირო ინსტიტუტში, სადაც საქმიანი ურთიერთობა დაამყარა მოსკოვისა და რუმინეთის შესაბამის ინსტიტუტებთან, რითაც ხელი შეუწყო საქართველოში სოფლის მეურნეობის საჭირო მანქანათა შექმნა-განვითარებას.

1982 წელს მისი ინიციატივით ქ. თბილისში ჩამოყალიბდა ქვეყნის აგროკომპლექსის მომსახურებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და პროპაგანდის რესპუბლიკური ცენტრი, რომელსაც 17 წელი წარმატებით ხელმძღვანელობდა, დაასაქმა 140-მდე სპეციალისტი და ხელი შეუწყო ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევების ფართოდ გამოყენებას. 2006 წელს მას მიანიჭეს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და აირჩიეს საქართველოს საინჟინრო და ტექნოლოგიურ-ჰუმანიტარული აკადემიების წევრად.

2001 წელს იგი დაინიშნა ნიკო ნიკოლაძის სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

2013 წელს ირაკლი დვალმა კოლეგებთან ერთად ჩამოაყალიბა საქართველოს მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოება, რომლის პირველ თავმჯდომარედ იქნა არჩეული, სადაც დღემდე განაგრძობს საქმიანობას.

ბატონმა ირაკლიმ გარდა თავის პროფესიული საქმიანობისა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა, წიგნებად დასტამბა და გამოსცა თავისი მშობლიური სოფლის, მთლიანად რაჭისა და სვანეთის გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მასალები, რითაც შემოუნახა მათი დამსახურება საქართველოს უახლეს ისტორიას. იგი რაჭის და თანაკუთხელთა დიდი მოსიყვარულეა და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება თავის მშობლიურ კუთხეს.

ვუსურვებთ ამ შესანიშნავ პიროვნებას ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

საქართველოს მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოება, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ჯემალ კაციტაძე და ელგუჯა შაფაქიძე, პროფესორი თამაზ ებანოიძე

* * *

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, გულშემატკივარს და წლების მანძილზე შტატგარეშე კორესპოდენტს ბატონ ირაკლი დვალს ვულოცავთ დაბადებიდან 95 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

პატივისცემით ამბროლაურის მოამბელები



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყველა თემში, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით მიმდინარე „დასაქმების მასშტაბური სახელმწიფო პროგრამის“ ბენეფიციარებისა და მერის წარმომადგენლების ჩართულობით, სოფლების დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები ხორციელდება.

პროგრამის ფარგლებში, სამიზნე ჯგუფებისთვის შეიქმნა ისეთი საზოგადოებრივი სამუშაოები, რომლის შესრულებაც ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია.

მიმდინარე პერიოდში, წესის ადმინისტრაციულ ერთეულში, დასუფთავდა ბარაკონის მიმდებარე ტერიტორია, გაიწმინდა სასაფლაო, ადმინისტრაციული შენობის ეზო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ე.წ. „ჭიკორაულის წყლის“ სათავეს. სამუშაოები განხორციელდა იწის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. მოწესრიგდა ფანჩატურის მიმდებარე ტერიტორია, გაიკაფა გზის სავალი ნაწილები, გაიწმინდა იწის ეკლესიის ეზო და მიმდებარე სასაფლაო...

სამუშაოები აქტიურ ფაზაში გრძელდება და ეტაპობრივად ყველა თემს მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში 300-ზე მეტი სოციალურად დაუცველი პირია პროგრამით მოსარგებლე.

„...როგორც ცაცარში შეპოვდიკარ ბოწიწებით...“

წიგნის სიყვარულმა ათქმევინა ეს სიტყვები ალექსანდრე აბაშელს და რა კარგია, რომ წლების მანძილზე უკვე ქვეყნის მასშტაბით ტრადიციულად ქცეულ **„ბიბლიოთეკის კვირეულს“** შედეგი ახლავს. ახალგაზრდები მიუბრუნდნენ წიგნს, მოთხოვნადი გახდა. დამტკიცდა, რომ საზოგადოებას დღესაც ამ კომპიუტერულ ხანაშიც კი სჭირდება წიგნი და ამას კარგად, პროფესიისადმი ერთგულებით სწორად წარმართავს, სასოფლო ბიბლიოთეკების ჩართვით, მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა. გამონაკლისი არც წლევანდელი ყოფილა. კვირეული დაიწყო მთავარი ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო სამსახურის უფროსის **გულნარა საღინაძის** მილოცვით. მანვე გააცნო ბიბლიოთეკარებს, საჯარო სკოლების პედაგოგებს, მოსწავლეახალგაზრდობას, ზოგადად, მკითხველებს კვირეულის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა. ისაუბრა წიგნზე, კითხვისა და ბიბლიოთეკარების როლზე.

პროგრამის ფარგლებში წესის სასოფლო ბიბლიოთეკამ (ბიბლიოთეკარი გვანცა კანთელაძე) მკითხველს ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო – **„მე დავიბადე აპრილის თვეში“** შესთავაზა. ღონისძიების წამყვანებმა, ძირითადათ მოსწავლეებმა, დამსწრე საზოგადოებას პოეტის ცხოვრება და შემოქმედება ისე ორიგინალურად წარუდგინეს, რომ მათ ხელახლა გადაკითხვის სურვილი გაუჩნდათ და პოეტის ლექსების კრებულებიც თან...

კვირეულის გამორჩეულ დღედ იქნა მიჩნეული სადმელის სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი ლია დარახველიძე), ჯვარისის, ბუგეულის, აბანოეთისა და ჩორჯოს ბიბლიოთეკების ერთობლივი შეხვედრა მკითხველებთან – **„მე და ჩემი წიგნის თარო“**. დარბაზი სავსე იყო სტუმრებით, აქტიური მკითხველებით, აქვე იყვნენ მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები და რეიტინგული გადაცემებით – „წიგნის თარო“ – ხალხის რჩეული **ერეკლე ჯოხაძე**, რომელმაც მადლობასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა როგორც სასკოლო ისე სადმელის სასოფლო, საბავშვო და მთავარი ბიბლიოთეკების დამსახურება მის წარმატებულ გზაზე.

ძალზე საინტერესო სახე მიიღო დისკუსიამ თემაზე **„ბეჭდური თუ ელექტრონული წიგნი“**. დარბაზი ორად გაიყო. ორივეს ჰყავდა მომხრეები. თუმცა მათთვის ერთხმად მისაღები აღმოჩნდა ექიმ გია ჯოხაძისგან შემოთავაზებული რჩევები, რითაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბიბლიოთეკა არის ის დაწესებულება სკოლასთან ერთად, რომელსაც საზოგადოების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებაში შეუფასებელი როლი აკისრია.

საქმიანი და ამავდროულად ამაღელვებელი იყო საჩხერის მუნიციპალიტეტის მთავარ და საბავშვო ბიბლიოთეკების წარმომადგენლებთან ჩვენი სტუმრობა, რისთვისაც იდეის ავტორს კულტურის ცენტრის დირექტორს თამაზ დაუშვილს ვუხდით მადლობას. უფრო ახლოს გავეცანით ორი მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო საქმიანობას. კოლეგებმა ერთმანეთს გავუზიარეთ გამოცდილება. ვეწვიეთ აკაკი წერეთლის სახლ მუზეუმს. კიდევ ერთხელ ჩავუღრმავდით მწერლის შემოქმედებას, ჩვენი მუნიციპალიტეტების კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რომელსაც ტრადიციები გააჩნია და გავაგრძელებთ. ჩვენი ღირსეული მასპინძლები მალე გვესტუმრებიან ამბროლაურშიც და მკითხველებთან ერთად კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გველის.

კვირეულის დასკვნითი საზეიმო ცერემონიალი საბავშვო ბიბლიოთეკაში შედგა – **„პოეზია – მამულის საგალობელი“**. ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველების ძირითადად პირველი და მეორე საჯარო სკოლებიდან (ორგანიზატორი გულიზა ლომთაძე) პაექრობას ლაიტმოტივად გასდევდა სამშობლოს სიყვარულის ვალდებულება.

„შენს წყაროებზე წყალი ვსვი
სასმისი გამოვცალეო,
შენს გზა – ბილიკზე ვიარე
ვერა, ვერ დავიღალეო.
ეს რა ლამაზი რამა ხარ
სამშობლოვ გენაცვალეო...“

ლექსთან შეზავებული მუსიკის საამო ჰანგებით დაგვიმტკიცეს მოსწავლეებმა, რომ უპირველესად მამულს სჭირდება სიყვარული და ერთგულება, რასაც სწავლობ წიგნით. საქართველო ხომ ის ბერმუხაა, რომელიც თავის ფესვებს ეფერება. ე.ი. ფოთოლივით არ უნდა მოსწყდე მას, რაც ემიგრანტებისთვის გზავნილი იყო. კვირეულის ყოველმა დღემ დაუვიწყარი წუთები აჩუქა წიგნის მოყვარულთ. ეს იყო ქართული სიტყვის, წიგნის ზეიმი. შეხვედრები, დისკუსიები, პოეზიის საღამოები გამიზნული ბიბლიოთეკების პოპულარიზაციისათვის და ამავდროულად ანგარიშით წარსდგომა საზოგადოების წინაშე.

აღსანიშნავია, რომ კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს ესწრებოდნენ და აფასებდნენ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები. აგრეთვე კულტურის ცენტრის დირექტორი, მოადგილე, საზოგადოებრივი სამსახურის უფროსი...

მადლობა მათ მხრდაჭერისთვის. „ბიბლიოთეკის კვირეული“ დასრულდა, მაგრამ წიგნთან შეხვედრები, მსჯელობა – დისკუსია გრძელდება, მობრძანდით ბიბლიოთეკაში.

„გონიერთათვის ღია არს შენი კარები“!

ტ. ენუქიძე

ამბროლაურის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა წიგნის **„გოგი გიორგობიანი – ქართული ძეგლების დოკუმენტალისტი“** პრეზენტაცია.

წიგნში წარმოდგენილია მისი შემოქმედების მეოთხედი, ფოტომასალის ნაწილი სიძველის გამო მცირედით დაზიანებულია, თუმცა ყველა მათგანს უკვე ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მას გადაღებული აქვს ორიათასამდე ისტორიული ექსპონატი, ხუთასზე მეტი არქიტექტურული და კულტურული ძეგლი, ასობით არქეოლოგიური ექსპედიცია.

შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ დმანისში აღმოჩენილი 1800000 წლის წინანდელი ქალის ქვედა ყბის პირველი ფოტოკადრებისა და ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ბერი გაბრიელის დაკრძალვის (ერთადერთი) კადრების ავტორი ბატონი გოგია.

წიგნის პრეზენტაციას რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე** პირველ მოადგილესთან – **ქრისტინე კობახიძესთან**, მოადგილე ლაშა ჭიჭინაძესთან, ამბროლაურის მერთან ზვიად მხეიძესთან და მერის მოადგილე **მამუკა ხიმშიაშვილთან** ერთად დაესწრო.

* * *

მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი კვლავ შეივსო. ამჯერად ქალბატონ **მაია ფანჯიკიძის** *მიერ საჩუქრად გადმოცემული წიგნებით.*

საჭირო გზაა, მიხედეთ!

ნამდვილად გვახარებს ის, რაც კეთდება მუნიციპალიტეტში, მაგრამ აუცილებლად მისახედია **საკეცია–ქვაფტკრის** გზა, იგი რიცეულ–ამბროლაურის საავტომობილო გზის ალტერნატიულ გზად ითვლებოდა და დანიშნულება არც დღეს დაუკარგავს, თუმცა წლებია უყურადღებოდაა მიტოვებული. არადა ამ გზით სარგებლობენ ადამიანები. არაა ძნელი, დიდ ფინანსებთან დაკავშირებული ამ გზის გაწმენდა. გაიაროს ეგრეთ წოდებულმა გრეიდერმა და ადრე გაზაფხულზე სტიქიით ჩამოტანილი ლოდებიდან განთავისუფლდეს გასასვლელი ღელეში რომ ფეხით მოსიარულემაც და მსუბუქმა ავტომობილმა თავისუფლად გაიაროს.

მართალია, ხე-ბუჩქებიც წამოიზარდნენ, მაგრამ უპირველესად მისახედია გზა, გზა, რომელიც საჭიროა და რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ მუნიციპალიტეტის მერია არაა ამის თაობაზე ინფორმირებული. იმედია, ამ საკითხს მოაგვარებს დროულად. ტურისტები ჩვენთან ერთად ამ გზით გვიან შემოდგომამდე სარგებლობენ. ჩვენ – საკეციელებს, ზნაკველებს, მოტყიარლებს და სხვა მიმდებარე სოფლებიდან ამ გზით არც თუ ისე იშვიათად მოსარგებლე ადამიანებს თუ არაფრად გვაგდებთ, იმ ტურისტებს გაუწიეთ ანგარიში „სიყვარულის წყაროდან“ გზას ზნაკურას ჩანჩქერამდე რომ აგრძელებენ და ეცნობიან იმ კულტურის ძეგლებს, რომლებიც აღნიშნულ სოფლებში მდებარეობენ.

იმედს ვიტოვებთ, რომ საკითხი ამჯერად მაინც მოგვარდება.

გ. მიქიაშვილი,
ნ. ქოქოსაძე, ლ. ბაკურაძე,
რ. მურუსიძე, ბ. კიკვაძე

იქნებ მოვიბიოთ, აღვადგინოთ

რთველი ახლოვდება და განწყობილებაც მაღლდება, მაგრამ ფიქრებიც გეძალება. ფიქრები იმაზე, რომ საქართველოში გავრცელებული 400-ზე მეტი ვაზის ჯიშიდან 94 რაჭაში იყო აღრიცხული. მათგან 50 იყო ენდემური ჯიში.

გულს უხარია ალექსანდროულისა და მუჯურეთულით დატვირთული ახალშენების ხილვა, მაგრამ საწყენია სხვა ჩვენებური ჯიშები რომ გაქრა.

ბევრი გულანთებული, კუთხეზე შეყვარებული მევენახე ფერმერი გვყავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. მათთან გვაქვს თხოვნა უფროსი თაობის წარმომადგენლებს: ბუნებრივია, ფართობებზე ვერ გააშენებთ, მაგრამ მოიძიეთ მოსახლეობაში და თითოროლა საჩვენებლად მაინც ჩარგეთ თქვენს ზვრებში: **კუდურაული, ლაბილაძის თეთრა, თქვაფუნა, ნოშრიო, არაბეული, ბახვა, ბეგლარის ყურძენი, ბერბეშო, ბუტკუა, ნაცარა, ხოტეურა, მცვივანა, რაჭული ხიხვი, ძელშავი, თითა, მწვანე, ხროგი, თხმორულა, ხოფათური, კირწმაგარა**....

ნუ გადავაშენებთ, აღვადგინოთ. მოგება არ იქნება, მაგრამ... გამორიცხულიც არაფერია. გაგვახარეთ და თქვენც გაიხარებთ იმით, რომ წინაპართა შექმნილს გადაარჩენთ.

ღმერთმა დაგლოცოთ

დედაქალაქის გაუსაძლის სიცხეს მეგობარმა გამომარიდა შვილთან ერთად რამოდენიმე დღით თავისთან რაჭაში, კერძოდ სოფელ ჯვარისაში. სამოთხეში ვიგრძენი თავი. მეორე დღეს ბავშვს დაეწყო სიცხეები. შეშინებულმა გვიან ღამით მივაკითხეთ სავადმყოფოს და აქედანვე იწყება ჩემი მადლიერება ამბროლაურის მედიკოსებისადმი. რაც საჭირო იყო გაკეთდა, მოგვცეს – რჩევა დარიგება დამშვიდებულნი, რომ არ დადგინდა ომიკრონი, დავბრუნდით სოფელში. გამთენიისას მდგომარეობა გართულდა. შეშინებულნი ქალაქში გასაქცევად მზად ვიყავით, მაგრამ მასპინძელის რჩევით გამოვიძახეთ სასწრაფო. არ მოველოდით ისე სწრაფად მოვიდა და შეიძლება ითქვას ექიმმა ლია მეტრეველმა გადაგვარჩინა. ოპერატიულად და პროფესიონალურად აღმოჩენილმა დახმარებამ იმ დღესვე მოგვცა შედეგი და საშუალება ამ ულამაზეს კუთხეში შესანიშნავ ხალხთან გაგვეგრძელებინა დასვენების დღეები, გვესუნთქა ის ჰაერი, რომელიც ასე ძალიან სჭირდება შვილის ორგანიზმს. მადლობა ამბროლაურელ მედიკოსებს, ქალბატონ ლიას, მის ექთანს და ბრიგადის ყველა წევრს. როცა მადლიერება მეორე დღეს სხვებთან ხმამაღლა გამოვხატე, ერთერთმა ქალბატონმა გაკვირვებულმა მკითხა: ქალაქელებს რატომ გგონიათ, რომ ამბროლაური პროვინციაა და აქ პროფესიონალები არ გვყვანანო.

ნამდვილად არ ვფიქრობ ასე. დავრწმუნდით. განვმეორდები ისევ დიდი მადლობა ამბროლაურელ მედიკოსებს, ქალბატონ **ლია მეტრეველს**, მის ექთანს და ბრიგადის მთელ შემადგენლობას.

ვიცით ძალზე დატვირთულები ხართ განსაკუთრებით ამ პერიოდში.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, ჩემო თბილო, სტუმართმოყვარე და დინჯო რაჭველებო!

პატივისცემით დ. შურლაია, თბილისი

ვფიქრობთ, იმსახურებს

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალულია ქართული გეოლოგიური სკოლის და გეოლოგიური განათლების ფუძემდებელი გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე.

ალექსანდრე ჯანელიძემ 1910 წელს დაამთავრა პარიზში სორბონის უნივერსიტეტი, 1916 წელს ყაზანის უნივერსიტეტი. 1911-15 წლებში მასწავლებლობდა ქუთაისში 1918-20 წლებში თბილისში. 1920-23 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საზღვარგარეთ და მუშაობდა გრენობლში პარიზში, ჰალეში. 1924 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1942-45 წლებში იყო მისი რექტორი. 1925 წელს დააარსა გეოლოგიური ინსტიტუტი, რომლის დირექტორი იყო 1955 წლამდე.

ალექსანდრე ჯანელიძის აქტიური მონაწილეობით შეიქმნა გეოლოგიური საზოგადოება, რომელსაც 1937-78 წლებში თავადვე თავმჯდომარეობდა.

მისი სამეცნიერო შრომები ძირითადად ეხება პალეონტოლოგიის, სტრატიგრაფიის, ტექტონიკისა და თეორიული გეოლოგიის საკითხებს.

გამოკვლეული აქვს თბილისისა და მისი მიდამოების გეოლოგიური აგებულება, თანამედროვე გეოლოგიური პროცესები (მეწყრული მოვლენები), ასევე მტკვრის ტერასები, ნატახტარის წყაროები და სხვა. შეისწავლა საქართველოს იურული და ცარცული პერიოდის, საფრანგეთის ადრინდელი ცარცული ეპოქის ფაუნა, ურალის დასავლეთი კალთის დევონური პერიოდის მარჯნული ფაუნა. ავტორია უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების.

ვფიქრობთ, იმსახურებს მის მშობლიურ კუთხეში გვქონდეს რამე მისი სახელდების.

რაჭველ გეოლოგთა ჯგუფი

ახალგაზრდული ბანაკი კულტურა

სამწლიანი წყვეტის შემდეგ, 13 აგვისტოს ლიდერებისა და მონაწილეების მიერ დადგმული ფლეშმობით გაიხსნა შაორის ახალგაზრდული ბანაკი, რომელიც ოთხ ეტაპად (14-დან 18 წლამდე) 400-მდე ახალგაზრდას უმასპინძლებს საქართველოს ყველა რეგიონიდან. კერძოდ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ ახლაგაზრდებს, სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილებს, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებს, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციელების შვილებს, მრავალშვილიანი ოჯახის წევრ ბავშვებს, ასევე რეგიონებიდან შემოქმედებითი და სპორტული უნარებით გამორჩეულ ახალგაზრდებს.

პანდემიის დაწყების შემდეგ, შაორი არის პირველი ახალგაზრდული ბანაკი, რომელიც გაიხსნა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, რაც შესაძლებელი გახდა ბანაკის ინფრასტრუქტურის განახლების შედეგად

გახსნის ცერემონიალს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **ირაკლი გივიაშვილი** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერ **ზვიად მხეიძესთან** ერთად დაესწრო.

ავტორი ქალბატონი, მომწონს



რიით? ნიჭით, პროფესიის ერთგულებით, წარსულისადმი პატივისცემით, ცხოვრების თანმდევ კითხვებზე სწორი პასუხებით, ხედვით, მომავლის განცდით, პოეზიის საყვარულით... და კიდევ წიგნით „ჩემი კრიალოსანი“. ბევრ რამეზე რომ ჩაგაფიქრებს და აგაცრემლებს. საწყენია, რომ მცირე ტირაჟითაა გამოცემული.

ქალბატონო ეკა, გილოცავთ თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან ერთად ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

პატივისცემით თქვენი ერთგული მკითხველი ეკა ფსუტური

საქმეზიბნელოში ჩიტზეიყო

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობა დასრულდა

ახალი, თანამედროვე სტანდარტის მუზეუმში გათვალისწინებულია მუდმივი ექსპოზიციის და დროებითი გამოფენების ორსინათლიანი დარბაზები და ფონდსაცავები, საკონფერენციო დარბაზი სცენითა და სინქრონული თარგმანის ოთახით, აქვს სივრცეები ბიბლიოთეკისა და მედიათეკისათვის, ბავშვთა საგანმანათლებლო ზონა, საგამოფენო ადმინისტრაცია, ფონდსაცავები და დამხმარე სათავსოები.

მეზობლებო, გილოცავთ!

ჩიტოიკვლა რითბიზინ ყაღაოიანს!

მიიღე დაბადების დღის იუბილესთან დაკავშირებით ჩვენგან გულწრფელი სურვილი: იყო ჯანმრთელი, მხნე და ბედნიერი შენთვის ძვირფას ადამიანებთან ერთად.

შევთხელდით, გავუფრთხილდეთ და გავამხნევოთ ერთმანეთი.

სამეგობრო

განცხადება

იყიდება 1200 კვადრატული მეტრი ნავენახარი ფართი სოფელ ქვემო კრიხში მდინარე კრიხულას მარჯვენა სანაპიროზე. გაშლილია გზიდან ზემოთ ტყემდე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეკონ შემდეგ ნომერზე: **577 50 27 10**

ჭადრაკი –2022

აზრებისა და ფიქრების ჭიდილში

ქალაქი ამბროლაური ერთი კვირა მასპინძლობდა ადგილობრივი თვითმმართველობის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაციის და ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის ორგანიზებით გამართულ საჭადრაკო ფესტივალს **„რაჭა–2022“**, რომლის გამარჯვებულის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 120 მოჭადრაკე.

ტურნირს, რომელსაც მსაჯობდნენ საერთაშორისო არბიტრები **ალექსანდრე** და **ინგა არსენიძეები**, გულშემატკივარი არ მოკლებია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ გონივრული სპორტისადმი ინტერესი მუნიციპალიტეტში დიდია.

სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ შედეგებით ჩვენებურებმაც გაგვახარეს. კერძოდ: 14 წლის ასაკში ბიჭებს შორის **ზურაბ ჭელიძემ** დაიკავა მე-2 ადგილი, 16 წლის ასაკის გოგონებს შორის **ელენე გაგოშიძემ** – პირველი (მწვრთნელი ზ. კობახიძე), 16 წლის ბიჭებში **ნოდარ ბუაძემ** (მწვრთნელი მ. ცხვედიანი), ხოლო ქალების ტურნირში **სოფიკო კობახიძემ** მე-2 ადგილი.

ფესტივალის ბოლოს, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში გამარჯვებულ ბავშვებს თასები, მედლები და სერთიფიკატები, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ – **მამუკა ხიმშიაშვილმა**, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტთან **მინდია ცხვედიანთან** და ადგილობრივი ხელისუფლების, ჭადრაკის ფედერაციისა და სასპორტო სკოლის წარმომადგენლებთან ერთად გადასცა.

სასიხარულოა ისიც, რომ შედეგებისა და რაოდენობის მიხედვით მოსწავლეთა მწვრთნელთა კონკურსში გამარჯვებულთა შორისაა **ზურაბ კობახიძე**, რომელიც წლებია სპორტის ამ საინტერესო სახეობის პროპაგანდისტია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში.

ბუნებრივია, გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები, მაგრამ ტურნირის სიუპრიზი აღმოჩნდა საერთაშორისო ოსტატების **ქეთევან** და **მიხეილ ქანთარიების** მიერ დაწესებული პრიზები, რომლებიც რჩეულთ გადასცათ მათმა დედამ – **ლიუდმილა მურუსიძე–ქანთარიამ**.

მადლობა ყველას, ვინც უზრუნველყო ფესტივალის საინტერესოდ და ორგანიზებულად წარმართვა.

მინდია ცხვედიანი,
რეგიონის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

თქვენი სიყვარული ჩვენ ვაფასებთ

საოცარი ხალხი ხართ რაჭველები. თქვენი თავი ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან შემაყვარა წარმოშობით თქვენებურმა თანაკლასელმა. მერე ინსტიტუტში და სამსახურშიც შეძენილ სამეგობროდან გამორჩეული ურთიერთობა მაინც რაჭველებთან მქონდა. ისინიც ყოველ ზაფხულს მანებივრებდნენ რაჭაში – კერძოდ ამბროლაურში დასვენებით. აქაური თანატოლებიც გვერდით იყვნენ და ასე კუნჭულ-კუნჭულ შემოვიარე თქვენი კუთხე. ხშირად ვხუმრობ: მე უფრო ვარ რაჭველი ვიდრე აქაურები თქო.

უკვე ასაკში შესული ისევ ისეთივე სიყვარულით სავსე გულით ყოველ ზაფხულს ვსტუმრობ რაჭას, ოღონდ უკვე ნამატით. მიხარია ქალაქის სახე ცვლილება, ბაღ-ვენახების სიმრავლე, მაგრამ ძალზე მწყინს, როცა ვხედავ გადათელილ გაზონებს. არადა იქვეა გადასასვლელები. აქაურები ამბობენ ვითხოვთ ჯარიმების დაწესებას, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება თავს იკავებსო. გამკვირვებია ვის ებოდიშებით, გაკეთებულს რომ აფუჭებს, ნაგავს რომ უდიერად ისვრის, გაზონებს რომ თელავს, ტრენაჟორების სახურავებსა და ნათურებს რომ ამტვრევს? რა, თქმა უნდა, არაო მიპასუხებენ. ჰოდა, ვინც არ უნდა იყოს, ჩამოსული თუ ადგილობრივი, დიდი თუ პატარა იმსახურებს შენიშვნასთან ერთად ჯარიმას. შემოიღეთ. როგორც ვიცი ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ამოქმედებულია ასეთი სანქციები. დამერწმუნეთ მაგალითი იქნება სხვებისათვის.

დალი მენთეშაშვილი

გაზეთის „ამბროლაურის მოამბე“ თანამშრომლები უთანაგრძნობენ მწუხარებაში ცირა და მანანა ბაკურაძეებს შვილისა და ძმის

რევაზ ვახტანგის ძე ბაკურაძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები და სამეზობლო უთანაგრძნობენ მწუხარებაში გულიკო, ელზა და ნატაშა ჯოხაძეებს

ნაზის (ნაზიკო)

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციური ჯაფარიძე

და თანაუგრძნობენ მწუხარებაში განსვენებულის ოჯახს.

დალი დარახველიძე, ინგა ჯანელიძე, დარეჯან ფოფხაძე, თეა ჩიკვაიძე, მანანა ბაკურაძე, მარინა დავითულიანი, ირინა გაგოშიძე, თენგიზ ველიაშვილი, უთანაგრძნობენ მწუხარებაში ციცო სოხაძეს, რძლის **შუქურა გურგენიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ჯილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.